საქმე №3/1285-09 წ.

სასამართლო სხდომის ოქმი

17 მაისი 2010 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ნინო შარაძე

სხდომის მდივანი თამარ ბარნოვი

მოსარჩელე—ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა";

მოპასუხე — საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;

მესამე პირები: 1. საქართველოს მთავრობა;

2. ქ. თბილისის მთავრობა;

3. შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი"— "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი";

დავის საგანი: საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების უკანონოდ ცნობის და საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების თაობაზე.

სხდომა დაიწყო 16[00] საათზე.

მოსამართლე ხსნის სასამართლოს მთავარ სხდომას, აცხადებს მას ღიად და სხდომას მოახსენებს განსახილველ საქმეს.

მოსამართლის ნებართვით სხდომის მდივანი მოახსენებს სხდომას გამოცხადებული პირების ვინაობას:

სასამართლო სხდომაზე გამოცხადდნენ მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენლები ნინო გუჯარაიძე და თამარ კორძაია, მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო [illegible] მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე [illegible] მესამე პირის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ირაკლი კოპალიანი.

არ გამოცხადდა მესამე პირის შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" — "ჯორჯიან

გამოუცხადებელი მხარე სხდომაზე გამოცხადების თაობაზე გაფრთხილებული იყო კანონით დადგენილი წესით.

მოსამართლემ დაადგინა გამოცხადებული პირების ვინაობა და უფლებამოსილება.

მოსამართლე აცხადებს, რომ საქმეს იხილავს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო შარაძე, თამარ ბარნოვის მდივნობით და განუმარტა მხარეებს აცილების უფლება და წესი, აგრეთვე განუმარტა საქართველოს სსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

მხარეებს მოსამართლისა და სხდომის მდივნის მიმართ აცილება არა აქვთ.

მოსამართლე შეეკითხა მხარეებს, ხომ არა გაქვთ რაიმე შუამდგომლობა საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხების შესახებ.

მოსარჩელე მხარის წარმომადგენლებს შუამდგომლობა ან წარმოსადგენი არაფერი აქვთ და ითხოვენ მთავარი სხდომის ჩატარებას.

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე განმარტავს, მე ვითხოვ მთავარი სხდომა გადადოთ, რადგან არ გამოცხადდა მესამე პირი შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" – "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი, ვთელით რომ მისი დასწრება საჭალდებულოა, რომ დაფიქსირდეს მისი პოზიცია, იქიდან გამომდინარე თუ ხელშეკრულების ყველა მხარე თანახმა იქნება ჩვენ გავცემთ აღნიშნულ ინფორმაციას.

მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე მხარს უჭერს საქმის განხილვის გადადებას და განმარტავს, აუცილებელია გამოუცხადებელი მესამე პირის პოზიციის დაფიქსირება.

მესამე პირის საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ირაკლი კოპალიანი მხარს უჭერს მთავარი სხდომის გადადებას და განმარტავს, აუცილებელია მესამე პირის პოზიციის დაფიქსირება, შესაძლებელია მხარეები მორიგდნენ და საქმე მორიგებით დამთავრდეს.

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე განმარტავს, ჩვენ მხარს არ ვუჭერთ საქმის განხილვის გადადებას, რადგან არ არსებობს მიზეზი რის გამოც უნდა გადაიდოს სხდომა.

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი თამარ ქრძაია მხარს არ უჭერს საქმის განხილვის გადადებას.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით დ ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის I ნაწილის თანახმად საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გონივრული ვადით. აღნიშნული მუხლი ცალსახად მიუთითებს საქმის განხილვის გადადების საფუძვლებზე, მესამე პირი შპს "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი" სხდომაზე გამოცხადების თაობაზე გაფრთხილებული იყო კანონით დადგენილი წესით, ცნობილია სხდომის დღე, გამოუცხადებლობის მიზეზი სასამართლოსათვის უცნობია, აქედან გამომდინარე მესამე პირის გამოუცხადებლობა არ შეიძლება იყოს საქმის განხილვის გადადების საფუძველი, რის გამოც შუამდგომლობა არ უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეებს სხვა შუამდგომლობა ან წარმოსადგენი არაფერი აქვთ და ითხოვენ საქმეზე ჩატარდეს მთავარი სხდომა სარჩელის არსებითად განხილვის მიზნით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე, 284-285-ე მუხლებით და დაადგინა : საქმე მოსმენილ იქნეს დღეის სხდომაზე.

მოსამართლე მოახსენებს სხდომას განსახილველი საქმის არსს.

მოსამართლე აცხადებს, რომ სასამართლო გადავიდა მხარეთა ახსნა-განმარტებების ეტაპზე.

მოსამართლის ნებართვით ახსნა-განმარტებას იძლევა მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე—სასარჩელო განცხადებას მხარს ვუჭერთ და ვითხოვთ სარჩელის დაკმაყოფილებას.

გამოქვეყნდა სასარჩელო განცხადება.

ახსნა-განმარტებას იძლევა მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი თამარ კორძაია—სასარჩელო განცხადებას კვლავ მხარს ვუჭერთ, ვითხოვთ მის დაკმაყოფილებას და დავამატებ შემდეგს: საქართველოს მთავრობას,

"თბილისის წყლის" 100% წილების ნასყიდობის ხელშეკრულების დოკუმენტის გასაიდუმლოებით უხეშად ილახება ჩვენი, როგორც საზოგადოების წარმომადგენელთა უფლებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, გარანტირებული საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 ნაწილით, "გარემოს დაცვითი საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების, საკითხებზე ხელმისწვდომობის" (ორჰუსის) კონვენციის მე-4 მუხლის I და მე-6 პუნქტებით და საქაროველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10,28-ე, 33-ე, 37-ე, 38-ე და 42-ე მუხლის "ა" და " ნ" პუნქტებით, მოგახსენებთ რომ კონვენციის მე-4 მუხლი არასწორად არის დაბეჭდილი და ეიშველიებთ მე-2 პუნქტად, ჩვენი გადათვლით არის მე-6 პუნქტი, ანუ კონვენციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, და მე-4 მუხლის I და მე-6 პუნქტები, მოპასუხე მხარე უთითებს რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით ხელშეკრულება მთლიანად არის გასაიდუმლოებული, გასაიდუმლოების წესს ადგენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27^2 მუხლი, I პუნქტის თანახმად რა არის კომერციული საიდუმლოება, ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

მეორე პუნქტის თანახმად, ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

მესამე პუნქტის თანახმად, ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ეს ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ მიიჩნევს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებაცაა ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით [illegible]ლოში

არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

გამოცხადდა მესამე პირის შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" -- "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე და ითხოვა სხდომაზე დაშვება.
მესამე პირის წარმომადგენელი დაშვებული იქნა სხდომაზე.
მოსამართლის შეკითხვაზე მესამე პირის წამომადგენელს შუამდგომლობა ან წარმოსადგენი არაფერი აქვს და თანახმაა გაგრძელდეს მთავარი სხდომა.

სხდომა გაგრძელდა
მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი თამარ კორძაია აგრძელებს ახსნა-განმარტებას—2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს გეგმას, რომელიც აუცილებლად მოახდენს გავლენას გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, ეს არის ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია, ასევე როგორც ავღნიშნეთ ხელშეკრულება არ ყოფილა მიჩნეული კომერციულ საიდუმლოებად კანონით-დადგენილი წესით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ფლობდეს ინფორმაციას, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად. წყლის კოდექსის მე-6, მე-13 მუხლის თანახმად, ვახდენ მის ციტირებას, წყალი არის სახელმწიფო საკუთრება, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებით დადგენილი პირობები გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად წარმოადგენს გარემოს დაცვით ინფორმაციას და იმავე კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისათვის, ასევე ეს არის ის ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც აუცილებლად იქონიებს გავლენას ადამიანის [illegible] და ჯანმრთელობაზე და რომლის გასაიდუმლოებაც საქართველოს [illegible] ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად დაუშვებელია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვითხოვთ [illegible] დაკმაყოფილებას. ვითხოვთ დაავალოთ მოპასუხე მხარეს [illegible] შპს

"რუსთავწყალკანალის", შპს "მცხეთაწყალკანალის", შპს "საქწყალკანალის" და შპს "თბილისის წყალის" 100% წილების ნასყიდობის თაობაზე საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ქ. თბილისის მთავრობას და შპს შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი"—ამჟამად "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედს" შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების განსაიდუმლოება, ასევე 2009 წლის 22 დეკემბერს საქართველოს მთავრობის №1025 განკარგულების საფუძველზე 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების დამატებით განმარტებისა და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების განსაიდუმლოება და დაავალოთ მოპასუხე მხარეს გასცეს საჯარო ინფორმაცია.

ახსნა-განმარტებას იძლევა მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე—სარჩელს არ ვცნობთ, მხარს ვუჭერთ შესაგებელს და ვითხოვთ უარი უთხრათ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ნასყიდობის ხელშეკრულების 14.1 მუხლის თანახმად "არც ერთი მხარე არ გააკეთებს განცხადებას "წილის" ნასყიდობის ან ნებისმიერი დაკავშირებული საკითხის შესახებ სხვა მხარეების წინასწარი წერილობით თანხმობის გარეშე, ხელშეკრულების აღნიშნული მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების ასლის გადაცემის მოთხოვნის წერილის საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებისათვის დაგზავნილი იქნა წერილები, აღნიშნული წერილით სამინისტრო მხარეებს თხოვდა მათ მოსაზრებას ასოციაცია მწვანე ალტერნატივასათვის ხელშეკრულების ასლის გადაცემის შესახებ, ხელშეკრულების მონაწილეთა მხრიდან სამინისტროს წერილებს რეაგირება არ მოყოლია, რაც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიჩნეული იქნა უარად. აღნიშნული მიზეზით ვერ მოხდა ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ნასყიდობის ხელშკრულების ასლის გადაცემა. წარმოდგენილ სარჩელთან დაკავშირებით ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განმარტავს, რომ დასახელებული უწყებების თანხმობის შემთხვევაში სამინისტრო აღნიშნული ხელშეკრულების ასლს გადასცემს მოსარჩელე მხარეს, მოგახსენებთ რომ ადმინისტრაციული წარმოება ჩატარდა, ცალკე აქტად არ არ[illegible]ული, მაგრამ ხელშეკრულების პუნქტში არის ჩადებული, ვადა არ არის [illegible]ული, [illegible]ლისხმება რომ არის უვადო.

ახსნა-განმარტებას იძლევა მესამე პირის საქართველოს მთავ[illegible]ის წარმომადგენელი ირაკლი კოპალიანი—სარჩელს არ ვცნობთ, მხარს ვუჭერთ მოპასუხე მხარის პოზიციას,

ვითხოვთ უარი უთხრათ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე და დაეამატებთ რომ, არსებობდა მხარეთა ნება და ასახეა პოვა ხელშეკრულებაში.

ახსნა-განმარტებას იძლევა მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე-- სარჩელს არ ეცნობთ, მხარს ვუჭერთ მოპასუხე მხარის პოზიციას, ქ. თბილისის მთავრობას მიაჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა აღნიშნული ინფორმაციის გაუცემლობით რა პირდაპირი და უშუალო ზიანი ადგება მის ინტერესებს და შესაბამისად უარი ინფორმაციის გაცემაზე კანონიერია. წარმოდგენილი მაქვს წერილობით ახსნა-განმარტება, რომელსაც გამოვაქვეყნებ და გთხოვთ გამოქვეყნების შემდეგ დაერთო საქმეს.
ახსნა-განმარტებას დაერთო საქმეს.

ახსნა-განმარტებას იძლევა მესამე პირის შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" -- "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე სარჩელს არ ვცნობთ, მხარს ვუჭერთ მოპასუხე მხარის და მესამე პირების პოზიციას და ვითხოვთ უარი უთხრათ მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე--მე წარმოდგენილი მაქვს წერილობით ახსნა-განმარტება, რომელსაც გამოვაქვეყნებ და გთხოვთ გამოქვეყნების შემდეგ დაერთო საქმეს.
ახსნა-განმარტება დაერთო საქმეს.

მოსამართლე აცხადებს, რომ დამთავრდა ახსნა-განმარტებების ეტაპი და იწყება შეკითხვების ეტაპი.

მოსამართლის შეკითხვაზე მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე განმარტავს—ჩვენ ვართ მესამე პირებზე დამოკიდებული, თუ ესენი თანახმა იქნებიან, ჩვენ გავცემთ ხელშეკრულებას. ჩვენ მიგვაჩნია რომ ფორმა დაცულია, შეთანხმებულია მხარეებთან და ასახეა პოვა ხელშეკრულებაში. არსებობდა მხარეთა ნება და ასახეა პოვა ხელშეკრულებაში.

მოსამართლის შეკითხვაზე--მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე პასუხობს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება ეძლოს ინფორმაციას, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და შესაბამისად ვფიქრობთ ერთვეა ჩვენი, როგორც საზოგადოების წარმომადგენელთა

უფლებები, რომ გაეცნოთ ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას და მიეღოთ მისი ასლი, სახეზეა პირდაპირ და უშუალო ზიანი.

მოსამართლის შეკითხვაზე მესამე პირის შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" -- "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე პასუხობს—ერთადერი პირობა, რომელიც მეტნაკლებად შეიძლება იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია, მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის 245-ე განკარგულებაში და პირდაპირ არის გადატანილი წილის ნასყიდობის ხელშეკრულებაში, კერძოდ, წყლის ხარისხი მუდმივად უნდა შეესაბამებოდეს "ჯანმოს" ტექნიკურ რეგლამენტს და არ უდა იყოს თბილისის და მცხეთაში 2009 წლის 14 მაისს არსებულზე უარესი. მე არ ვიცოდი მესამე პირების პოზიცია, მოსარჩელე მხარეს რაც კონკრეტულად აინტერესებს მოგვაწოდონ და მე დაველაპარაკები ხელმძღვანელობას და აღნიშნულზე იმსჯელებენ და მოგახსენებთ შემდეგ სხდომაზე.

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელ ნინო გუჯარაიძის შეკითხვაზე—როგორ მოხდა ხელშეკრულების გასაიდუმლოება?

მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი სოფიო ახალაძე პასუხობს—განცხადება არ იყო წარდგენილი, თუმცა იყო ნება გამოხატული ზეპირად და ასახეა პოვა ხელშეკრულებაში, ეს იყო ზეპირი წარმოება და მოხდა ურთიერთშეთანხმებით.

მოსამართლის შეკითხვაზე მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი თამარ კორძაია პასუხობს—ჩვენ შეგვიძლია ამ სამართლებრივი ნორმების ფარგლებში ვივარაუდოთ, რომ ჩვენ არ ვიცით რა წერია ხელშეკრულებაში, ჩვენთვის ნებისმიერი ინფორმაცია მნიშვნელოვანია, ძალიან ბევრი ფაქტი იყო რომელიც ეჭვს ბადებდა, რომ უკანონოდ არის განსაიდუმლოებული, ამის თაობაზე ინფორმაციის განსაიდუმლოება დაუშვებელია.

მოსამართლის შეკითხვაზე— მესამე პირის შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" -- "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე პასუხობს, ჩვენ ვართ ბუნებრივი მონოპოლისტები, არის მიწის ქვეშ წყლები, და ახორციელებენ წყლის მიწოდებას ფიზიკურ პირებზე, არსებობს წყლის კომპანია, და ეს

მესამე პირის ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელ სალომე ბარბაქაძის შეკითხვაზე—რაში მდგომარეობს პირდაპირ და უშუალო ზიანი, ამბობთ მხოლოდ ზოგადად?

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი თამარ კორძაია პასუხობს, კანონიერი უფლება მე კონსტიტუციით მაქვს მონიჭებული, კონსტიტუციით დაცულია ზოგადი უფლება, ის რომ ჩვენ მივმართეთ და პასუხი არ მოგვიღია, ეს გვაყენებს ჩვენ პირდაპირ და უშუალო ზიანს, უნდა ეიცოდეთ თუნდაც რას ვსვამთ, ზიანი არ გამოიხატება მხოლოდ თანხებში, მწვანე ალტერნატივამ მიმართა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და მოვითხოვეთ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 10 აპრილის №245 განკარგულებით დადგენილი პირობების შესრულების მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია, მან გადაუგზავნა წყალს და პასუხი არ გვაქვს, 2010 წლის 22 თებერვალს ადმინისტრაციული საჩივრით მივმართეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელმაც საკითხზე რეაგირება კვლავ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დააკისრა.

მოსამართლის შეკითხვაზე მესამე პირის შპს "მულტიპლექს ენერჯი ლიმითედი" – "ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმითედი"-ს წარმომადგენელი ბესიკ კობერიძე პასუხობს—ჩვენთან ეს წერილი არ შემოსულა, იქნებ მომცენ დადასტურება იმისა, რომ გადმოაგზავნეს წერილი ჩვენთან.

მოსარჩელე ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელი ნინო გუჯარაიძე განმარტავს—ჩვენ წარმოგიდგენთ მტკიცებულებებს რომ ნამდვილად მივმართეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ვშუამდგომლობთ სხდომა გადადოთ და გაგრძელდეს მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპიდან და წარმოვადგენთ მტკიცებულებებს, რომ ნამდვილად მივმართე წერილით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ადმინისტრაციული საჩივრით კი საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

მოსამართლის შეკითხვაზე მხარეები მხარს უჭერენ მოსარჩელე მხარის წარმომადგენელს სხდომის გადადების და საქმის გაგრძელების თაობაზე მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპიდან.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისა კოდექსის 1-ლი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით,

ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. დაევალოს მოსარჩელე მხარის წარმომადგენელს წარმოუდგინოს სასამართლოს მტკიცებულება, რომ ნამდვილად მიმართა წერილით საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და ადმინისტრაციული სახიერით კი საქართველოს პრემიერ-მინისტრს.
2. საქმის მოსმენა მოიხსნას დღეის სხდომიდან და გაგრძელდეს საქმის განხილვა მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპიდან ა/წლის 8 ივნისს 15^{00} საათზე.
2. მხარეებს ეცნობოთ სხდომის დღის თარიღის თაობაზე კანონით დადგენილი წესით.

მოსამართლემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომა დამთავრდა 17^{50} საათზე.

მოსამართლე: ნინო შარაძე

სხდომის მდივანი: თამარ ბარნოვი